სოფელი

მე თავს მახსენებს ჩემი სოფელი

და იქ განვლილი ბავშვობის დღენი,

მწვანე მინდორი, ბიბინა ველი,

ბებერი მუხა, ტყენი და ღრენი.

ფიცრული სახლი და ბუხრის ბოლი,

ბუხარში ხმელი შეშის ტკაცუნი.

ვზივარ, ვიგონებ ეზო-კარს მოვლილს

და ჩემში ცოცხლობს ჩემი წარსული.

ლუარა ჭანტურია

სოფლისაკენ

მატარებლით მიჰქრიან და

გაგა ამბობს – გახსოვს გუგა...

ბორბლები კი არ აცდიან

– გაგა-გუგა! გაგა-გუგა!

– ძაღლი რომ გამოგვიდგა და

გული აგვიბაგაბუგა?

ბორბლები კი ხმაურობენ

– ბაგა-ბუგა! ბაგა-ბუგა!

– გახსოვს ბაბუმ მდინარე რომ

საბანაოდ დაგვიგუბა?

ბორბლები კი კვერს უკრავენ

– დაგვი-გუბა! დაგვი-გუბა!

შვილიშვილებს მოელიან

რეზო ბაბუ, ნატო ბებო,

ბორბლები კი იჩქარიან

– ბაბუ-ბებო, ბაბუ-ბებო.

კობა ჭუმბურიძე